შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N1

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 08/07/19-CON ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი ოქტომბერი, 2019წ.

ერთი მხრივ, სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“ (ს/კ: 205307960) შემდგომში - „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ავთანდილ თალაკვაძის სახით და მეორე მხრივ, შპს „თეგეტა მოტორსი" (ს/კ:202177205) შემდგომში - „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი მიხეილ ვაშაკიძის (ბრძანება #152; გაცემული 2019 წლის 1 ივლისს, შპს „თეგეტა მოტორსის“ გენერალური დირექტორის ავთანდილ წერეთლის მიერ) სახით, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. ცვლილება შევიდეს სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრსა“ და შპს „თეგეტა მოტორსს “ შორის 2019 წლის 8 ივლისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ **08/07/19-CON** ხელშეკრულების 4.1 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „4.1 საქონლის მიწოდების ვადაა: „შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დრის განმავლობაში, 2019 წლის 8 ივლისიდან 2019 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.“

2. შეიცვალოს სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრსა“ და შპს „თეგეტა მოტორსს “ შორის 2019 წლის 8 ივლისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ **08/07/19-CON** ხელშეკრულების მე-10 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „10. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.“

3. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერისთანავე, წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ **08/07/19-CON** ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.
4. ზემოხსენებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ **08/07/19-CON** ხელშეკრულების ყველა სხვა დანარჩენი მუხლი დარჩეს უცვლელი.
5. მხარეები აცხადებენ, რომ ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ

შემსყიდველი:
სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და
გადაუდებელი დახმარების ცენტრი“
ს/კ: 205307960
დირექტორი **/ავთანდილ თალაკვაძე/**

LEPL Emergency Situations Coordination and Urgent Assistance Center
Digitally signed by LEPL Emergency Situations Coordination and Urgent Assistance Center
Date: 2019.10.08 18:25:09 +04'00'

„მიმწოდებელი“
შპს „თეგეტა მოტორსი"
ს/კ:202177205
სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი **/მიხეილ ვაშაკიძე/**

Tegeta Motors LLC
2019.10.08 18:41:18
+04'00'